პრეზიდენტ თომას ს. მონსონის მიერ



ჩვენი მამების რწმენის ერთგულნი

ჯონ ლინფორდი 43 წლის იყო, როცა თავის მეუღლე მართასთან და სამ ვაჟთან ერთად გადაწყვიტეს, დაეტოვებინათ სახლი ინგლისში, გრეივლში, რათა შეერთებოდნენ წმინდანებს მათ მოგზაურობაში სოლთ ლეიქ ველის მიმართულებით. მათ დატოვეს მეოთხე შვილი, რომელის მისიაში მსახურობდა, გაყიდეს ქონება და აიღეს ბილეთი ლივერპულში მიმავალ გემ *თორნტონზე*.

მოგზაურობა ზღვაზე ნიუ-იორკისკენ და შემდეგ ხმელეთზე აიოვისკენ ღარიბი იყო მოვლენებით. სირთულეები დაიწყო მას შემდეგ, რაც ლინფორდები და უკანასკნელ დღეთა სხვა წმინდანები, რომლებიც *თორნტონით* მოგზაურობდნენ, წამოვიდნენ აიოვადან 1856 წ. 15 ივლისს. ესენი იყვნენ ჯეიმს ჯ. უილის ხელის ურმებით მოგზაური უიღბლო კამპანიის მონაწილენი.

ცუდმა ამინდმა და მძიმე მოგზაურობამ კამპანიის მრავალ წევრზე უარყოფითად იმოქმედა, ჯონის ჩათვლით. იგი საბოლოოდ ისე დაავადდა და დასუსტდა, რომ ხელის ურმით გახდა სატარებელი. იმ დროისთვის, როცა კამპანიამ ვაიომინგს მიაღწია, მისი მდგომარეობა საშიში გახდა. სოლთ ლეიქის მაშველთა გუნდმა მიაღწია იმ ადგილს 21 ოქტომბერს. იმ დროისთვის ჯონის მიწიერი მოგზაურობა რამდენიმე საათის წინ დასრულებულიყო. იგი იმ დღეს დილით ადრე გარდაიცვალა, სვითვოთერის მდინარის პირზე.

ნანობდა ჯონი, რომ თავისი ოჯახის სიონისკენ წასაყვანად მან კომფორტი და უზრუნველი ცხოვრება ბრძოლაზე, გაჭირვებაზე და სიდუხჭირეზე გაცვალა?

„არა, მარია,“ — უთხრა მან თავის მეუღლეს სიკვდილამდე. „მიხარია, რომ მოვედით. მე სოლთ ლეიქამდე ვერ მივალ, მაგრამ შენ და ბიჭები მიაღწევთ მას, მე არ ვინანებ არაფერს, რაც გადავიტანეთ, თუკი ჩვენი შვილები გაიზრდებიან და ოჯახებს შექმნიან სიონში.“[1]

მარიამ და მისმა ვაჟებმა დაასრულეს მოგზაურობა. როცა მარია დაახლოებით 30 წლის შემდეგ გარდაიცვალა, მან ჯონთან ერთად დაგვიტოვა რწმენის, მსახურების, ერთგულებისა და მსხვერპლის გაღების მემკვიდრეობა.

იყო უკანასკნელ დღეთა წმინდანი ნიშნავს იყო პიონერი, რამეთუ პიონერი განიმარტება როგორც „ადამინი, რომელიც სხვებს წინ უძღვის, რათა გაუკაფოს მათ გზა“.[2] იყო პიონერი ნიშნავს ეზიარო მსხვერპლის გაღებას. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის წევრებს აღარ სთხოვენ სახლების მიტოვებას სიონში სამოგზაუროდ, მათ ხშირად უკან უნდა მოიტოვონ ძველი ჩვევები, დიდი ხნის წესჩვეულებები და სანუკვარი მეგობრები. ზოგიერთნი იღებენ მტანჯავ გადაწყვეტილებას — მიატოვონ ოჯახის წევრები, რომლებიც ეწინააღმედეგებიან მათ ეკლესიაში გაწევრიანებას. უკანასკნელ დღეთა

წმინდანები წინ მიდიან, თუმცა ლოცულობენ, რომ მათთვის ძვირფასი ადამიანები გაუგებენ მათ და მიიღებენ.

პიონერის ბილიკი ადვილი როდია, მაგრამ ჩვენ უდიდესი პიონერის კვალს მივდევთ, თავად მხსნელს, რომელიც წინ გაგვიძღვა და გვიჩვენა გზა.

„მომყევით მე,“[3] მოგვიწვია უფალმა.

„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე,“[4] განაცხადა მან.

„მოდით ჩემთან,“[5] მოგვიხმო უფალმა.

ეს გზა შეიძლება დამქანცველი იყოს. ზოგიერთისთვის ძნელია აღუდგეს დაცინვას და უწმაწურ კომენტარებს უგუნურებისგან, რომლებიც სასაცილოდ იგდებენ უბიწობას, პატიოსნებას და მორჩილებას ღვთის მცნებების მიმართ. სამყარო ყოველთვის უგულებელყოფდა კანონის პრინციპისადმი მორჩილებას. როცა ნოეს ურჩიეს კიდობნის აშენება, უგუნური ადამიანები უყურებდნენ უღრუბლო ცას, დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ, სანამ წვიმა არ წამოვიდა.

მრავალი საუკუნის წინ, ამერიკის კონტინენტზე, ადამიანები ეჭვობდნენ, კამათობდნენ, ურჩობდნენ, სანამ ცეცხლმა არ შთანთქა ზარაჰემლა, მიწამ არ დაფარა მორონიჰა, წყალმა კი — მორონი. აბუჩად აგდება, დაცინვა, შეურაცხყოფა და ცოდვა აღარ იყო. ყველაფერი შეიცვალა პირქუში სიჩუმითა და ბნელი ღამით. ღმერთის მოთმინება ამოიწურა, მისი განრიგი აღსრულდა.

მარია ლინფორდს არასდროს არ დაუკარგავს რწმენა. არც მაშინ, როცა მას ინგლისში დევნიდნენ, არც „ღვთის მიერ . . . მომზადებული ადგილის“ — კენ მოგზაურობის დროს გადატანილი სირთულეებისას[6] და არც შესაბამისი განსაცდელისას, რაც მას ოჯახისა და ეკელესიის გამო გადაუტანია.

1937 წ. მარიას მოსაგონებლად მის საფლავზე ჩატარებული ცერემონიისას, უხუცესმა ჯორჯ ალბერთ სმითმა (1870–1951) ჰკითხა მის შთამომავლებს: „იქნებით თქვენი წინაპრების რწმენის ერთგულნი? . . . ეცადეთ იყოთ ღირსნი ყოველი თქვენთვის გაღებული მსხვერპლისა“[7]

მაშინ, როცა ვეძიებთ გულში, ოჯახში, სამეზობლოში და საკუთარ ქვეყანაში სიონის აშენებას, დაე გვახსოვდეს ურყევი სიმამაცე და გაუტეხავი რწმენა იმ ადამიანებისა, რომლებმაც ყველაფერი დათმეს იმისთვის, რომ დავტკბეთ აღდგენილი სახარებით, მისი იმედითა და დაპირებით, რაც მოდის იესო ქრისტეს გამოსყიდვიდან.

შენიშვნები

1. See Andrew D. Olsen, *The Price We Paid* (2006), 45–46, 136–37.
2. The Compact Edition of the Oxford English Dictionary (1971), „pioneer.“
3. ლუკა 18:22.
4. იოანე 14:6.
5. იოანე 7:37; იხ. ასევე 3 ნეფი 9:22
6. „მოდით, მოდით, წმინდანებო,“ *საგალობლები,* გვ. 30.
7. See Olsen, *The Price We Paid,* 203–4.

ამ მოწოდების სწავლება

სთხოვეთ მათ, ვისაც სტუმრობთ, გაიხსენონ ის ადამიანები თავიანთ ცხოვფრებაში, რომლებიც მათთვის პიონერები არიან. შემდეგ ჰკითხეთ, როდის უნდა ყოფილიყვნენ ისინი პიონერები და სხვებისთვის მოემზადებინათ გზა. სთხოვეთ, გაიხსენონ მომენტები, როცა მსხვერპლი უნდა გაეღოთ და რისთვის ღირდა ამის გაკეთება. შემდეგ შეგიძლიათ სთხოვოთ მათ, ჩაიწერონ მათი მოწმობა „მთავარი პიონერის“, მხსნელის, შესახებ.

ახალგაზრდები

რწმენის ერთგულნი

პრეზიდენტი მონსონი გვიყვება ამბავს პიონერების ოჯახზე და შემდეგ ციტირებს პრეზიდენტი ჯორჯ ალბერტ სმითის სიტყვებს: „იქნებით თქვენი წინაპრების რწმენის ერთგულნი? . . . ეცადეთ იყოთ ღირსნი თქვენთვის გაწირული ყოველგვარი მსხვერპლისა“. ხართ პიონერი წინაპრების შთამომავალნი თუ ხართ ეკლესიის წევრთა პირველი თაობა, შეჰყურებთ რწმენის მაგალითებს მითითებისა და ძალის მისაღებად? აი დასაწყისისთვის კარგი ხერხი:

1. შეადგინეთ იმ ადამიანთა სია, რომლებითაც აღტაცებულნი ხართ. ესენი შესაძლოა იყვნენ თქვენი ოჯახის წევრები (აწმყოდან თუ წარსულიდან), მეგობრები, ეკლესიის ხელმძღვანელები ან ადამიანები წმინდა წერილიდან.

2. ჩაიწერეთ ის თვისებები, რომლებიც თქვენ მათში მოგწონთ. თქვენი დედა ძალიან მომთმენია? იქნებ თქვენი მეგობარი სხვების მიმართ კეთილია. იქნებ თქვენ მოგწონთ კაპიტან მორონის სიმამაცე?

3. აირჩიეთ თქვენი სიიდან ერთ-ერთი თვისება და ჰკითხეთ საკუთარ თავს: „როგორ შემიძლია

შევიძინო ასეთი თვისება? რა უნდა მოვიმოქმედო იმისთვის, რომ განვავითარო ეს თვისება ცხოვრებაში?“

4. ჩაიწერეთ ამ თვისების განვითარებისთვის საჭირო გეგმა და დადეთ ისეთ ადგილას, სადაც იგი ხშირად მოგხვდებათ თვალში, რათა შეგახსენოთ თქვენი მიზანი. ილოცეთ მამაზეციერის დახმარებისთვის და რეგულარულად შეამოწმეთ თქვენი წინსვლა. როცა იგრძნობთ, რომ საკმარისად განავითარეთ ეს თვისება, შეგიძლიათ აირჩიოთ ახალი თვისება და იმუშაოთ მასზე.

გახსოვდეთ, რომ როცა ჩვენში ვანვითარებთ დიად თვისებებს, ჩვენ არა მხოლოდ წინაპრების რწმენას და მათ მიერ გაღებულ მსხვერპლს ვცემთ პატივს, არამედ შეგვიძლია კარგი გავლენა მოვახდინოთ ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებზე.

ბავშვები

შენც პიონერი ხარ!

პიონერები არიან ადამიანები, რომლებიც სხვებს უმზადებენ გზას.

დახატეთ თქვენი ერთ-ერთი წინაპარი ან იპოვეთ მისი სურათი. პიონერები არიან ადამიანები, რომლებიც სხვებს უმზადებენ გზას. დაწერეთ ორი ხერხი, რომლითაც შეგიძლიათ დღეს იყოთ პიონერი. შეგიძლიათ გაუზიაროთ თქვენი იდეები მომავალ ოჯახურ საღამოზე.

© 2016 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *First Presidency Message, July 2016.* Georgian. 12867 131

ჩვენი, როგორც მშობლის, პოტენციალი

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ გაზრდის „მოწოდება მსოფლიოს“ გაგება თქვენს რწმენას ღმერთში და დალოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.reliefsociety.lds.org.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

„საუცილებელი იყო, რომ ღვთის სულიერ შვილებს ჰქონოდათ მიწიერი დაბადება და მარადიული ცხოვრებისკენ წინსვლის საშუალება“, — გვასწავლა უხუცესმა დალინ ჰ. ოუქსმა თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან. „ბედნიერების დიდი გეგმის საბოლოო დანიშნულების ჭრილში მე მწამს, რომ ჩვენი ბავშვები და შთამომავლობა არის ჩვენი საბოლოო საგანძურები დედამიწაზე და ზეცაში“.[1]

უხუცესმა ნილ ლ. ანდერსონმა, თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან, ბრძანა:

„ჩვენ გვწამს ოჯახები და ჩვენ გვწამს შვილები. . . .

„‘. . . და უთხრა ღმერთმა [ადამსა და ევას]: ინაყოფიერეთ და გამრავლდით და აღავსეთ ქვეყანა’დაბადება 1:28]. . . .

„უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიაში ეს მცნება არ დაუვიწყებიათ და არც გვერდზე არ გადაუდიათ“.[2]

მიუხედავად იმისა, რომ ყველანი ამ ცხოვრებაში არ გავხდით მშობლები, ჩვენ შეგვიძლია აღვზარდოთ ნებისმიერი ასაკის ბავშვები. ჩვენ ვტკბებით დალოცვით — ვიყოთ მამაზეციერის ოჯახის ნაწილი და ვართ რა მიწიერი ოჯახის ნაწილი, განვიცდით ამასთან დაკავშირებულ სიხარულსა და სირთულეებს. მრავალს დედობა და მამობა მარადისობაში ელის.

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

ფსალმუნი 127:3; მათე 18:3–5; 1 ნეფი 7:1; მოსე 5:2–3

ისტორიები ცხოვრებიდან

„დღეს მსოფლიოში მრავალი ადამიანი აკნინებს შვილების ყოლის მნიშვნელობას ან თვლის, რომ შვილები მოგვიანებით უნდა იყოლიო ან ნაკლები შვილი იყოლიო“, — ამბობს უხუცესი ანდერსენი. „ჩემმა ქალიშვილებმა არც თუ ისი დიდი ხნის წინ გამიზიარეს ბლოგი, რომელიც მიყავს ხუთი შვილის ქრისტიან დედას (არა ჩვენი მრწამსის). იგი ამბობს: ამ კულტურაში ძალიან რთულია მიიღო დედობის ბიბლიური ხედვა. . . . ბავშვების რეიტინგი კოლეჯის რეიტინგზე გაცილებით უფრო დაბალია. და რა თქმა უნდა მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობაზე დაბლაც დგას. ან ღამით სახლიდან გასვლაზე, მაშინ, როცა მოისურვებ. კიდევ სავარჯიშო დარბაზში სხეულის დაყენების ქვეშ. სამსახურზე ან პერსპექტიულ ადგილზე უფრო დაბლაც’. შემდეგ იგი ამატებს: ‘დედობა ჰობი არ არის, ეს მოწოდებაა. შვილების კოლექცია არ უნდა შექმნა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მარკებზე უფრო ლამაზია. ეს არ არის ის, რასაც დროის გასაყვანად აკეთებ. ღმერთმა ზუსტად საამისოდ გარგუნა დრო’“.[3]

მენიშვნები

1. Dallin H. Oaks, “The Great Plan of Happiness,” *Ensign,* Nov. 1993, 72, 75.
2. Neil L. Andersen, “Children,” *Liahona,* Nov. 2011, 28
3. Neil L. Andersen, “Children,” 28.

განიხილეთ შემდეგი

რითი ჰგავს ჩვენი მიწიერი ოჯახი ზეციურ ოჯახს?

© 2016 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *Visiting Teaching Message, July 2016.* Georgian. 12867 131